



ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №123

2013 წლის 23 აგვისტო  
ქ.ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული  
ქონების წლიური სარგებლობის ქირის განსაზღვრის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ქ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. ქ.ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზირი №1-ის მიმდებარედ 478.0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან იჯარის უფლებით 4 კვ.მ. ნაკვეთზე (ს/კ №20.42.08.232) წლიური სარგებლობის ქირა განისაზღვროს 200 (ორასი) ლარის ოდენობით;

2. ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობამ ქ.ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზირი №1-ის მიმდებარედ 478.0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან იჯარის უფლებით 4 კვ.მ. ნაკვეთის შემდგომი განკარგვის მიზნით იმოქმედოს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ჯ. ჯინჭარაძე);

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№30);

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ე.ბაგრატიონი

2. ქ.ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზირი №116-ის მიმდებარედ 750.0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან იჯარის უფლებით 4 კვ.მ. ნაკვეთზე (ს/კ №20.42.06.367 ) წლიური სარგებლობის ქირა განისაზღვროს ----- (-----) ლარის ოდენობით.

3. ქ.ქობულეთი, თავისუფლების ქუჩა №17-ის მიმდებარედ 281.0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან იჯარის უფლებით 4 კვ.მ. ნაკვეთზე (ს/კ №20.42.05.163 ) წლიური სარგებლობის ქირა განისაზღვროს ----- (-----) ლარის ოდენობით.